საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *კახაბერ სოფრომაძის* ---------- **შეფასების შედეგი:**

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	18	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	87	100

სახელი, გვარი : ნიკოლოზ მარსაგიშვილი

თარიღი : 28/05-2021

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის კახაბერ სოფრომაძის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის კახაბერ სოფრომაძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		კომენტარი
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	კანდიდატი კახაბერ სოფრომაძე არის კორექტული და თავდაჭერილი. ამასთან, მას გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესაბამისი შეგნება და სამსახურეობრივ, ფინანსურ თუ სხვა სახის ვალდებულებებს (ქონებრივი დეკლარაციის შევსება, ბანკის ან სხვა ვალის გადახდა, საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის ჯარიმის გადახდა და სხვ.) ასრულებს ჯეროვნად. აღსანიშნავია, რომ კახაბერ სოფრომაძის მიმართ დისციპლინური დევნა ან/და ადმინისტრაციული წარმოება არ დაწყებულა და იგი სასამართლოში წარმართულ დავებში
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	

			მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. აგრეთვე, კანდიდატი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი და შემომწირველი.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	18	25	კახაბერ სოფრომაძესთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად, ნათელი გახდა, რომ იგი მეტნაკლებად იცნობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. აგრეთვე, კანდიდატი დამაკმაყოფილებელ დონეზე იცნობს სამართლის ფილოსოფიასა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას. აღსანიშნავია, რომ კახაბერ სოფრომაძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია).
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25	კანდიდატს აქვს სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება. იგი ამჟამად არის სსიპ შსს მომსახურების სააგენტოს დირექტორის მოადგილე და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ლექტორი. ამასთან, მას გააჩნია ანალიტიკური აზროვნების კარგი უნარი.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	19	20	კახაბერ სოფრომაძე გამოირჩევა გამართული მეტყველებისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის უნარით. იგი არის თავდაჯერებული, მშვიდი და ღიად აყალიბებს საკუთარ შეხედულებებს. ამასთან, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის[1] შესწავლის საფუძველზე შესაძლებელია ითქვას, რომ მას აქვს აზრის ნათლად,

[1] სამართლებრივი ნაშრომი „1921 წლის დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუცია და სასამართლო სისტემა“.

			თანმიმდევრულად და გასაგებად გადმოცემის შესაძლებლობა.
პროფესიული თვისებები	14	15	კანდიდატი გამოირჩევა მიზანდასახულობით, პუნქტუალურობითა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარით.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	8	10	კახაბერ სოფრომაძეს აქვს ცოდნის გაღრმავებისა და ახალი უნარების შეძენის ინტერესი. აღსანიშნავია, რომ მას მონაწილეობა აქვს მიღებული რამდენიმე სემინარსა და ტრენინგში.
პროფესიული აქტივობა	5	5	კანდიდატის პროფესიულ აქტივობასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ მას მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. ამასთან, კანდიდატს აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი, იგი საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და არის სამართლებრივი ნაშრომის ავტორი.
ქულათა ჯამი	87	100	
დასაბუთება	**უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, იმის დასადგენად თუ რამდენად აკმაყოფილებს კანდიდატი კახაბერ სოფრომაძე კეთილსინდისიერების კრიტერიუმს, წინამდებარე დასკვნაში წარმოდგენილი და გაანალიზებულია მისი შეფასება აღნიშნული კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელთან მიმართებით. კერძოდ, პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი; დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა; პიროვნული და პროფესიული ქცევა; პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია; ფინანსური ვალდებულება. აღსანიშნავია, რომ კეთილსინდისიერების კრიტერიუმით კახაბერ სოფრომაძის		

	შეფასება დაეყრდნო კანდიდატების შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, რა დროსაც სხვადასხვა უწყებიდან მოხდა მის შესახებ შემდეგი სახის ინფორმაციის გამოთხოვა: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან მონაცემები ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ, სს „კრედიტინფო საქართველოდან“ სრული პერსონალური საკრედიტო ინფორმაცია, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურიდან ცნობა შემოსავლების შესახებ, საჯარო სამსახურის ბიუროდან ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაცია, კანდიდატის სამუშაო ადგილიდან ინფორმაცია დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ, კახაბერ სოფრომაძის დახასიათების მიზნით მასთან სამსახურეობრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან შევსებული სპეციალური ფორმის რეკომენდაციები, კითხვარები და სხვ. ამასთან, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ისიც, რომ კახაბერ სოფრომაძის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მის მიერ განაცხადის შევსებისას მითითებული ინფორმაცია და საჯარო მოსმენისას კანდიდატის მხრიდან გამოვლენილი სხვადასხვა თვისებები, მახასიათებლები და სხვ. ზემოაღნიშნულზე დაყრდნობით, კანდიდატთან დაკავშირებით *<u>პიროვნული კეთილსინდისიერებისა და პროფესიული სინდისის მახასიათებლის</u>* თაობაზე შესაძლებელია ითქვას, რომ გამოკითხული რეკომენდატორები და მასთან სამსახურებრივ თუ პირად ურთიერთობაში მყოფი პირები კახაბერ სოფრომაძის პირად თვისებებს აფასებენ დადებითად. აგრეთვე, რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ იგი არის კეთილსინდისიერი, მოწესრიგებული და საქმისადმი ერთგული. მნიშვნელოვანია, რომ კანდიდატმა საჯარო მოსმენაზე დატოვა თავაზიანი და კორექტული პიროვნების შთაბეჭდილება. ამასთან, კახაბერ სოფრომაძეს გააჩნია მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შეგნება და იგი უმეტესად ჯეროვნად ასრულებს როგორც სამსახურებრივ, ისე ფინანსურ ან სხვა ხასიათის ვალდებულებებს. კერძოდ, მისი მხრიდან დროულად არის გადახდილი საგზაო მოძრაობის წესების დარღვევისათვის დაკისრებული ჯარიმები, მას აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია (უფიქსირდება მცირედი ჯარიმები), მის მიერ ქონებრივი დეკლარაციის შევსებისას რაიმე დარღვევას ადგილი არ ჰქონია და სხვ. *<u>დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობისა და სამართლიანობის მახასიათებლის</u>* თაობაზე უნდა აღინიშნოს, რომ კახაბერ სოფრომაძის დახასიათებისას გამოკითხული რეკომენდატორები აცხადებენ, რომ იგი არის სამართლიანი, დამოუკიდებელი, პრინციპული და ზეგავლენის მიმართ მედეგი. ამასთან, რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატის სისუსტეს წარმოადგენს ის გარემოება, რომ იგი არის „მიმნდობი“ და „გულჩვილი“ პიროვნება. კანდიდატის პოლიტიკურ ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობასთან დაკავშირებით კი უნდა აღინიშნოს, რომ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, იგი არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის

	წევრი/მხარდამჭერი, შემომწირველი და საჯარო მოსმენაზეც იგი გამოირჩეოდა პოლიტიკური ან სხვა ნიშნით მიუკერძოებლობით. *პიროვნული და პროფესიული ქცევის მახასიათებელთან* დაკავშირებით კახაბერ სოფრომაძის თაობაზე შესაძლებელია ითქვას, რომ საჯარო მოსმენაზე იგი იყო თავდაჭერილი და გამოირჩეოდა საკუთარი ემოციების მართვის უნარით. უნდა ითქვას ისიც, რომ კანდიდატის დახასიათებისას რეკომენდატორები უთითებენ, რომ კახაბერ სოფრომაძე კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას არის კორექტული. აღსანიშნავია, რომ კანდიდატის შესახებ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, მის წინააღმდეგ დისციპლინური დევნა ან სისხლისამართლებრივი წარმოება არ დაწყებულა. იგი სასამართლოში წარმართულ დავებში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. რაც შეეხება *პიროვნულ და პროფესიული რეპუტაციის მახასიათებელს* კახაბერ სოფრომაძის პიროვნულ თვისებებს და მის პროფესიულ მიღწევებს რეკომენდატორები და გამოკითხული პირები აფასებენ დადებითად. ამასთან, რეკომენდატორები აღნიშნავენ, რომ იგი კოლეგებში და საზოგადოებაში გამოირჩევა მაღალი საქმიანი და მორალური რეპუტაციით. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საზოგადოებასთან და მედიასთან ურთიერთობის მენეჯერის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, ინტერნეტ სივრცეში კანდიდატის შესახებ ძირითადად ხელმისაწვდომია ინფორმაცია, მის საქმიანობასთან და მის მიერ გაკეთებულ განცხადებებთან დაკავშირებით. იურიდიულ წრეებთან ურთიერთობის ხასიათთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ კახაბერ სოფრომაძეს მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში და ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. *ფინანსური ვალდებულების მახასიათებლის* თაობაზე, მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელია აღინიშნოს, რომ კახაბერ სოფრომაძეს აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია (უფიქსირდება მცირედი ჯარიმები) და მას სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. ამასთან, კანდიდატი მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულია შპს „დიქსი XXI " - 34% -ის მფლობელად და შპს „სამშენებლო და სარემონტო სერვისი 2002" - 34%-ის მფლობელად. იგი ასევე არის სოფრომაძეთა საგვარეულო კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. ამრიგად, კანდიდატის ფინანსური ვალდებულებების შემოწმების შედეგად, გამოიკვეთა, რომ არ არსებობს მისი ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი, რამაც შესაძლოა შემდგომში საფრთხის ქვეშ დააყენოს მოსამართლის მიუკერძოებლობა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დასკვნის სახით, შესაძლებელია ითქვას, რომ ვინაიდან არ გამოკვეთილა ისეთი გარემოება, რომელიც ეჭვქვეშ დააყენებდა კანდიდატის კეთილსინდისიერების საკითხს, მიმაჩნია, რომ იგი სრულად

	აკმაყოფილებს აღნიშნულ კრიტერიუმს. **უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით** „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის თანახმად, კომპეტენტურობის კრიტერიუმის საფუძველზე კახაბერ სოფრომაძის შეფასებისას მხედველობაში იქნა მიღებული აღნიშნული კრიტერიუმის თითოეული მახასიათებელი. კერძოდ, სამართლებრივი ნორმების ცოდნა; სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია; წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი; პროფესიული თვისებები; აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა; პროფესიული აქტივობა. აღსანიშნავია, რომ კომპეტენტურობის კრიტერიუმით კანდიდატის შეფასება დაეყრდნო კანდიდატის შესახებ მოძიებულ ინფორმაციას, მათ შორის, მის მიერ წარმოდგენილ სამართლებრივ დოკუმენტებს და საჯარო მოსმენის შედეგად შექმნილ შთაბეჭდილებას. კანდიდატის მიერ *სამართლებრივი ნორმების ცოდნის კუთხით* უნდა აღინიშნოს, რომ კახაბერ სოფრომაძესთან გამართული საჯარო მოსმენის შედეგად, ნათელი გახდა, რომ იგი დამაკმაყოფილებელ დონეზე ფლობს მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობას. აგრეთვე, კანდიდატი იცნობს სამართლის ფილოსოფიასა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციას. აღსანიშნავია, რომ კახაბერ სოფრომაძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა (სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაცია). იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თითოეული წევრის მიერ კანდიდატების შესახებ მოძიებული ინფორმაციის შესწავლის შემდეგ, 2021 წლის 5 თებერვალს კახაბერ სოფრომაძესთან გაიმართა საჯარო მოსმენა.[2] საჯარო მოსმენისას კანდიდატს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრებმა დაუსვეს არაერთი სამართლებრივი და ზოგადი ხასიათის შეკითხვა. უნდა აღინიშნოს, რომ იგი იყო გაწონასწორებული, თავდაჯერებული და კორექტული. თუმცა, მან ვერ შეძლო პასუხი გაეცა ყველა დასმული შეკითხვისათვის. აგრეთვე, კანდიდატს გაუჭირდა საკუთარი შეხედულებების დამაჯერებლად გადმოცემა და ზოგიერთ სამართლებრივ საკითხზე სიღრმისეული და არგუმენტირებული მსჯელობის განვითარება. კახაბერ სოფრომაძის *სამართლებრივი დასაბუთების უნარის და კომპეტენციის* შესახებ შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატს აქვს სპეციალობით მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება. იგი ამჟამად არის სსიპ შსს მომსახურების სააგენტოს დირექტორის

[2] იხ. კახაბერ სოფრომაძესთან გამართული საჯარო მოსმენის ვიდეოჩანაწერი: https://www.youtube.com/watch?v=eIJ5DnXpN-M

	მოადგილე და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის ლექტორი. ამასთან, გასაუბრებაზე გამოჩნდა მისი ანალიტიკური აზროვნების უნარი. რაც შეეხება კანდიდატის *წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარს* კახაბერ სოფრომაძე გამოირჩევა გამართული მეტყველებისა და სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის შესაძლებლობით. იგი არის თავდაჯერებული, მშვიდი და ნათლად აყალიბებს საკუთარ შეხედულებებს. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი დოკუმენტის[3] შესწავლის საფუძველზე კი შესაძლებელია ითქვას, რომ კანდიდატს აქვს აზრის ნათლად, თანმიმდევრულად და გასაგებად გადმოცემის უნარი. ამასთან, შესწავლილ დოკუმენტში თვალსაჩინო გრამატიკული ხასიათის შეცდომა არ გამოვლენილა. *პროფესიული თვისებების მახასიათებელთან* დაკავშირებით მოძიებული ინფორმაციის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ კახაბერ სოფრომაძე გამოირჩევა მიზანდასახულობით და დამოუკიდებელი აზროვნების უნარით. კანდიდატის *აკადემიური მიღწევების, პროფესიული წვრთნისა და პროფესიული აქტივობის* შესწავლისას გამოვლინდა, რომ კახაბერ სოფრომაძეს მონაწილეობა აქვს მიღებული მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ სხვადასხვა ღონისძიებაში. ამასთან, კანდიდატს აქვს დოქტორის აკადემიური ხარისხი, საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტში ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას და არის ერთი სამართლებრივი ნაშრომის ავტორი. აღსანიშნავია, რომ კახაბერ სოფრომაძეს ჩაბარებული აქვს პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა, საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის საკვალიფიკაციო გამოცდა და ადვოკატთა ტესტირება. **შეჯამება** ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კანდიდატ კახაბერ სოფრომაძესთან დაკავშირებით შესაძლებელია ითქვას, რომ იგი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს. ამასთან, კომპეტენტურობის კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებლთან მიმართებით კანდიდატის შეფასებისას გათვალისწინებულ იქნა მისი ცოდნა, კომპეტენცია, გამოცდილება, პროფესიული თვისებები, უნარ-ჩვევები და სხვა მნიშვნელოვანი მახასიათებლები. აღნიშნული ინფორმაციის შეჯერებისა და შეფასების საფუძველზე კანდიდატის მიერ დაგროვილ ქულათა ჯამმა, მაქსიმალური 100 ქულიდან, შეადგინა 87 ქულა. ვინაიდან, საქართველოს უზენაესი სასამართლო არის მართლმსაჯულების განხორციელების უმაღლესი და საბოლოო ინსტანციის საკასაციო სასამართლო და იგი ერთგვარად წარმოადგენს დოქტრინალურ სასამართლოს, რადგან

[3] სამართლებრივი ნაშრომი „1921 წლის დემოკრატიული საქართველოს კონსტიტუცია და სასამართლო სისტემა“.

	ის დიდ როლს ასრულებს სამართლის ნორმის განმარტებისა და ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებაში, აღნიშნული სასამართლოს მოსამართლეობა დიდ პასუხისმგებლობასთან და სირთულეებთან არის დაკავშირებული. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ კანდიდატი ამ ეტაპზე არ არის მზად დაიკავოს აღნიშნული თანამდებობა.

სახელი, გვარი: ნიკოლოზ მარსაგიშვილი

ხელმოწერა:

თარიღი: 28/05-2021